*დანართი №2*

**შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის მიერ საგანმანათლებლო პროგრამა „საჰაერო ხომალდების ტექნიკური მომსახურება (B1.3)“ (პროგრამის განხორციელების ენა - ინგლისური) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა**

| |
|---|
| ექსპერტთა ჯგუფის წევრები |
| თავმჯდომარე: მანანა მახარაშვილი |
| წევრები: გიორგი კაკაშვილი |

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**ნაწილი I. შესავალი**

**I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ**

დაწესებულების სახელწოდება: **საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის**

ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა: **შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (შპს)**

საიდენტიფიკაციო კოდი: **206155328**

სახე:

- [x] უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება
- [ ] ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება
- [ ] პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება / კოლეჯი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

## II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტში, (შემდეგში „დაწესებულება“) ვიზიტი განხორციელდა სსიპ განათლების ხარისხის განვითრების ეროვნული ცენტრის (შემდეგში „ცენტრი“) დირექტორის 2024 წლის 9 აგვისტოს ბრძანების № 0960357 საფუძველზე. ვიზიტის მიზანს წარმოადგენდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „საჰაერო ხომალდების ტექნიკური მომსახურება (B1.3)“ (განხორციელების ენა ინგლისური), საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31 - ე მუხლის, მე - 2 პუნქტთან შესაბამისობის შეფასება.

დაწესებულებაში ვიზიტი განახორციელდა 2024 წლის 16 აგვისტოს, ექსპერტთა შემდეგი შემადგენლობით: პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი - მანანა მახარაშვილი (თავმჯდომარე), დარგის ექსპერტი გიორგი კაკაშვილი, მისამართზე: ქ. თბილისი, ქეთევან დედოფლის გამზირი N16.

ვიზიტამდე, ექსპერტების მიერ, წინასწარ იქნა შესწავლილი დაწესებულების მიერ ცენტრში წარმოდგენილი დოკუმენტაცია, რის საფუძველზეც შედგა დღის წესრიგი. დაიგეგმა და შედგა შეხვედრები დაწესებულების პერსონალთან, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელ პირებთან, პარტნიორ/პრაქტიკის განმახორციელებელ დაწესებულებებთან. ვიზიტის დროს შეფასდა ბრძანებითა და დღის წესრიგით დაგეგმილი ყველა კომპონენტი.

III. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

*გთხოვთ, მოიყვანოთ საუკეთესო გამოცდილების მაგალითი(ებ)ი, ასეთის არსებობის შემთხვევაში.*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნაწილი II. სტანდარტთან შესაბამისობა და რეკომენდაციები

I. პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

| სტანდარტი/კომპონენტი | საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* | ექსპერტთა ჯგუფის შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* |
|---|---|---|
| 2) საგანმანათლებლო პროგრამები | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| 2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| 2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| 2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| 2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

II. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*ხარვეზი არ დაფიქსირებულა.*

**III. სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება**

*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია არ გაცემულა.*

**IV. განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება**

**2.1.1** პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად

**(7) - პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი - რეკომენდაცია:** საგანმანათლებლო პროგრამით მისანიჭებელი კვალიფიკაცია განისაზღვროს ეკჩ-ს კვალიფიკაციის (0716.3.1 საჰაერო ხომალდების ტენიკური მომსახურება Aircraft Maintenanse) ჩანაწერის იდენტურად და ნაცვლად „უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია საჰაერო ხომალდების ტექნიკურ მომსახურებაში 0716“, ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით: „უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია საჰაერო ხომალდების ტექნიკურ მომსახურებაში“

**2.2.1** პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით

**(3) - პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია** - რეკომენდაცია: დაწესებულებამ სასურველია უზრუნველყოს პერსონალის პირადი საქმეებში ყველა აუცილებელი დოკუმენტის განთავსება.

(7) - **პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა -** რეკომენდაცია: საგანმანათლებო პროგრამის ბიუჯეტში სასურველია განისაზღვროს რენტაბელობის ზღვარი, რაც შესაძლებელს გახდის პროგრამის ფინანსური მდგრადობის სრულყოფილ ანალიზს.

**V. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე**

რექტორის მოვალეობის შემსრულებლის მიერ ხელმოწერილი კოროსპონდენციით (#966 /24, 21.08.2024 წ.) დაწესებულება სრულად ეთანხმება ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში აღწერილ ფაქტობრივ გარემოებებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

## ნაწილი III. ინფორმაცია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

### I. ზოგადი ინფორმაცია

| | |
|---|---|
| პროგრამის სახელწოდება | საჰაერო ხომალდების ტექნიკური მომსახურება (B1.3) |
| პროფესიული განათლების დონე | მე-5 დონე |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია | უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია საჰაერო ხომალდების ტექნიკურ მომსახურებაში |
| სწავლის დეტალური სფეროს კოდი | 0716 |
| პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები | შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის მმართველი საბჭოს სხდომის ოქმი #45/24 19.07.2024 წ.<br>შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის რექტორის 19/07/2024 წ. დადგენილება #05/06; |
| პროგრამის განხორციელების ენა | ინგლისური |
| პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები | თბილისი, ქეთევან დედოფლის გამზირი N16 |
| პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში) | რეალურ სამუშაო გარემოში |
| რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური) | კოოპერაციული |
| პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით | 20 |
| მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც | ---- |

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

| | |
|---|---|
| მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით *(არსებობის შემთხვევაში)* | |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | ----- |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 126,5 |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | ----- |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 126,5 |

**II. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შეფასება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ**

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒
ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

*იმ შემთხვევაში, თუკი ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება მოთხოვნილ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობას, მიუთითეთ ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართების, განხორციელების ფორმისა და არსებობის შემთხვევაში, ინტეგრირებული სასწავლო გეგმის მიხედვით და შემდეგ დაასაბუთეთ თქვენი შეფასება.*

| | |
|---|---|
| პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით | |
| სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიულ სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს *(არსებობის შემთხვევაში).* | |

**დასაბუთება**

.....

.....

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**ნაწილი IV. პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება**

**2. საგანმანათლებლო პროგრამები**

**2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება**

**2.1.1** პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

**კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

**1.პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას.**

უნივერსიტეტს რექტორის დადგენილებით (18.07.2024 წ. N 45/24) დამტკიცებული აქვს „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“, რომელიც ითვალისწინებს პროგრამის შემუშავების, მასში ცვლილებების შეტანის და გაუქმების წესს. კერძოდ, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება ხორციელდება რექტორის ბრძანებით განსაზღვრული პირის (პროგრამის ხელმძღვანელის) მიერ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის და შესაბამისი ფაკულტეტის ჩართულობით. აღნიშნული პირი ატარებს შრომის ბაზრის კვლევას, შეიმუშავებს შესაბამის კონცეფციას, ეცნობა პროფესიულ სტანდარტს, ჩარჩო დოკუმენტს და დასაბუთებული შუამდგომლობით მიმართავს ფაკულტეტის საბჭოს. ფაკულტეტის საბჭო ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მონაწილეობით განიხილავს ახალი პროგრამის შემუშავების აუცილებლობის საკითხს. დადებითი გადაწყვეტილების შემთხვევაში ხდება პროგრამის/სასწავლო კურსის ან/და მოდულების პროექტების შემუშავება. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების პროცესში შესაძლოა მონაწილეობდნენ დამსაქმებლები, დარგის მოწვეული სპეციალისტები, კურსდამთავრებულები და საჭიროების შემთხვევაში სხვა დაინტერესებული პირები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

უნივერსიტეტის მისიაა საზოგადოებას შესთავაზოს საავიაციო სფეროში მრავალწლიან გამოცდილებაზე დაფუძნებული და თანამედროვე სასწავლო მატერიალურ-ტექნიკურ ბაზაზე განხორციელებული საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი უმაღლესი და პროფესიული განათლება - საფრენოსნო მომზადების, საავიაციო ინჟინერიისა და ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულებით; მოამზადოს კვალიფიციური კურსდამთავრებულები და ხელი შეუწყოს მათი პიროვნული თვისებების განვითარებას, რომელიც დაეხმარება მათ ჩამოყალიბდნენ დარგის პროფესიონალებად; კვლევისა და აღმოჩენის კულტურის განვითარებით და ახალი ცოდნის შექმნით უპასუხოს საავიაციო სფეროს ადგილობრივ და გლობალურ გამოწვევებს.

ამასთან, დაწესებულებას განსაზღვრული აქვს მიზანი - „საავიაციო სფეროში განავითაროს სტუდენტის ინტერესებზე და შესაძლებლობებზე ორიენტირებული კადრების აღზრდის საუკეთესო გარემო, საზოგადოების წევრებისათვის შესაბამისი საფეხურის უმაღლესი განათლებისა და შესაბამისი დონის პროფესიული განათლების, კვალიფიკაციის ამაღლების, მომზადებისა და გადამზადების შეთავაზებით“ (დაწესებულების დებულება, მუხლი 5 . პ.1.1.), ასევე დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამა, შეესაბამება 2021-2027 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმას (დამტკიცების რეკვიზიტები: რექტორის დადგენილება #05/02.18.02.2021), რომლის მიზანსაც წარმოადგენს საგანმანათლებლო პროგრამების (უმაღლესი, პროფესიული) ინტერნაციონალიზაცია (მიზანი 2). მიზნიდან გამომდინარე, დაწესებულების მიერ განსაზღვრულია ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა (დადგენილება 27.05.2019), რომლის თანახმად დაწესებულების ამოცანაა პროგრამებისა და სერვისების ხელმისაწვდომობის გაზრდა საერთაშორისო დონეზე (ამოცანა 3).

დასახული მიზნების რეალიზებისთვის, დაწესებულებამ განხორციელა ბაზრის კვლევა, რომელიც ეფუძნება სსიპ სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს, შპს „საქართველოს აეროპორტების გაერთიანების“, შპს „ავია კომპანია ჯეო სქაი“-ს, „ჯორჯიან ეარვეის“-ის, შპს „კამექს ეარლაინს“-ის მიმართვის წერილებს კადრების გადამზადება-საჭიროებასთან დაკავშირებით, მათი შემდგომი დასაქმების პერსპექტივით. დაწესებულების გადაწყვეტილება ასევე ეყრდნობა კომპანია „ბოინგის“ კომერციული ბაზრის პერსპექტივების 2018-2037 წლების კვლევას, რომლის თანახმად ავიაციის ზრდის ტენდენციის გათვალისწინებით მომავალი 20 წლის მანძილზე საჭირო იქნება 710 000 ავიატექნიკოსი, აქედან ევროპის კონტინენტზე 167 000. პროგრამის შემუშავების არგუმენტია ასევე სამთავრობო სტრატეგია, სამოქალაქო ავიაციის სფეროში „ღია ცის პოლიტიკა“ და საქართველოს როგორც რეგიონალური ჰაბის განვითარება. დაწესებულების მიერ ასევე წარმოდგენილი იყო სსიპ „საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სააგენტო“-ს კორესპონდენცია (#09/2162,30.09.2022), სადაც მზაობას გამოთქვამს, კომპეტენციის ფარგლებში მხარი დაუჭიროს დაწესებულების პროგრამის შემუშავების ინიციატივას, ასევე ადასტურებს რომ პროგრამები ხელისშემწყობი ფაქტორი იქნება ავიაციის შესაბამისი დარგების განვითარებისა და სპეციალისტების კომპეტენციის გაზრდისთვის.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, **დაწესებულების გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას. ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**2.საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას**
- პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „საჰაერო ხომალდების ტექნიკური მომსახურება (B1.3)“ დაშვების წინაპირობები განსაზღვრულია სტანდარტით და არის: სრული ზოგადი განათლება; „სამედიცინო დოკუმენტაცია ფორმა №IV -100/ა“, ჯანმრთელობის დამადასტურებელი ცნობა და B2 დონის დამადასტურებელი ინგლისური ენის სერტიფიკატი ან უნივერსიტეტის მიერ განსაზღვრული შესაბამისი გამოცდის ჩაბარება. აღნიშნული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები სრულ შესაბამისობაშია საგანმანათლებლო სტანდარტთან, ხოლო დაწესებულების მიერ განსაზღვრული ჩარიცხვის პროცედურები შესაბამისობაშია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 2 ივლისის N42/ნ ბრძანებით დამტკიცებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესთან და პირობებთან - **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**3.პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით -** დაწესებულების მიერ შემუშავებულია „სტუდენტთა კონტიგენტის განსაზღვრის მეთოდოლოგია“, რომლის მიზანია დაეხმაროს უნივერსიტეტს საგანმანათლებლო პროგრამებზე სტუდენტთა ზღვრული რაოდენობების სწორად განსაზღვრაში, რათა უზრუნველყოფილი იყოს საგანმანათლებლო პროგრამების მდგრადობა და მათი ეფექტური განხორციელება. მეთოდოლოგიაში გაწერილია სტუდენტთა კონტიგენტის განსაზღვრის კრიტერიუმები (ადამიანური რესურსი (აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული, ადმინისტრაციული პერსონალი და პროფესიული მასწავლებელი) და მატერიალურ-ტექნიკური რესურსი) და კონტიგენტის განსაზღვრის სამიზნე ნიშნულები (ადამიანურ რესურსთან მიმართებაში -პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო პროგრამის განმახორციელებელ პირთა რაოდენობა პროფესიულ სტუდენტებთან მიმართებით არ უნდა აღემატებოდეს 1/20-ს; ასეთივე თანაფარდობაა განსაზღვრული ძირითადი ადმინისტრაციული პერსონალსა და სტუდენტთა კონტინგენტთან მიმართებით;

მატერიალურ რესურსთან მიმართებაში, აქცენტი კეთდება სათანადო აღჭურვილობის აუდიტორიების, ლაბორატორიების, პრაქტიკის ობიექტების მფლობელობაში ან/და ავტორიზაციის ვადით სარგებლობაში არსებობაზე. თანაფარდობა დადგენილია კომპიუტერულ ლაბორატორიებში და ბიბლიოთეკაში განთავსებულ ტექნიკასთან მიმართებითაც - სტუდენტთა რაოდენობის 1/25; დაწესებულება ზღვრული რაოდენობის დადგენისას, მხედველობაში იღებს ასევე სპორტულ-შემოქმედებითი და სხვა არა საუდიტორიო აქტივობებისათვის საჭირო სივრცეების ხელმისაწვდომობას. გარდა აღნიშნული კრიტერიუმებისა, დაწესებულება ასევე ითვალისწინებს EASA (European Union Aviation Safety Agency), ICAO (International Civil Aviation Organization) და სსიპ საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს მიერ სპეციალისტთა მომზადებისა და სწავლების ორგანიზებისთვის დადგენილ დირექტივებს/სტანდარტებს. დებულების თანახმად, საგანმანათლებლო პროგრამებზე სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობას ადგენს ფაკულტეტის საბჭო.

უნივერსიტეტის მიერ აღნიშნული მიდგომით პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე მოთხოვნილია 20 პროფესიული სტუდენტი. ექსპერტთა მიერ განხორციელდა პროგრამის განმახორციელებლ პირებთან გასაუბრება, დათვალიერდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გამტარობა და აღნიშნულიდან გამომდინარე დადგინდა, რომ უნივერსიტეტის მიერ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „საჰაერო ხომალდების ტექნიკური მომსახურება (B1.3)“ პროფესიული სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობად განისაზღვროს 20 პროფესიული სტუდენტი. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას -** საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით. პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით, დაწესებულებას პროგრამის განსახორციელებლად გამოყოფილი აქვს შემდეგი სივრცეები:

- კომპიუტერული ლაბორატორიები, B გარემო, აუდიტორიები №304 და #204 - 20-20 სამუშაო ადგილით
- საჰაერო ხომალდების რადიო-სანავიგაციო მოწყობილობების ლაბორატორია A/C გარემო, აუდიტორია #201 - 24 სამუშაო ადგილით
- საავიაციო ძრავის ლაბორატორია, A/C გარემო, აუდიტორია #107 - 24 სამუშაო ადგილით

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- აეროდინამიკის ლაბორატორია ,A/C გარემო, აუდიტორია #102 - 12 სამუშაო ადგილით
- პრაქტიკული სწავლების სახელოსნო ე.წ. „workshop საერთო ფართით 287 კვ.მ
- საგამოცდო სივრცე, 14 სამუშაო ადგილი

საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიზნით გამოყოფილი აუდიტორიები აღჭურვილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, რაც დასტურდება, როგორც ვიზუალური შემოწმებით, ისე წარმოდგენილი რესურსის ფლობის დოკუმენტაციით.

საქართველოს მთავრობის განკარგულების საფუძველზე (#1436, 07.08.2023), დაწესებულების მფლობელობაშია ასევე თელავის საფრენი მოედანი „მიმინო“ (რეგისტრირების დოკუმენტის რეკვიზიტები: სსიპ სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორის ბრძანება #173, 01.08.2024) და საჰაერო ხომალდების ტექნიკური მომსახურების ცენტრი, რომელსაც იყენებს პროგრამის პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების მიზნით. შემოწმებული იქნა სახელმწიფო ლიცენზიების/სერტიფიცირების სფეროც. სსიპ სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს მიერ, დაწესებულებაზე გაცემულია სერტიფიკატი GE.147.0001 (გაცემის თარიღი: 28.12.2022; მოქმედების ვადა: უვადო). (იხ. ასევე ქვ. 2.1.1.(1) ინდიკატორი).

საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნების გათვალისწინებით, ავია სპეციალისტების საბაზისო განათლება (მოდულები/თემატიკა), რეგლამენტირებულია. მოთხოვნების გათვალისწინებით, საგანმანათლებლო პროგრამისთვის დაწესებულების მფლობელობაშია ევროკავშირის საავიაციო უსაფრთხოების სააგენტოს (EASA) სახელმძღვანელოების უახლესი რედაქციები, ასევე ადგილობრივი და საერთაშორისო რეგულაციები. დაწესებულების მიერ, შოთა რუსთაველის ფონდის გრანტის ფარგლებში, შემუშავდა საავიაციო სფეროს ილუსტრირებული ქართულენოვანი ლექსიკონი. სასწავლო რესურსი ბიბლიოთეკაში ხელმისაწვდომია როგორც მატერიალურად, ასევე ელექტრონულად.

საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული მატერიალური და სასწავლო რესურსი შესაბამისია მოდულების სწავლის შედეგების და უზრუნველყოფს მათ მიღწევას, შესაბამისად **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან -** საგანმანათლებლო პროგრამა არჩევით მოდულებს არ ითვალისწინებს.

**6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ -** დაწესებულების დებულების (05/07 05.12.2023) თანახმად, საგანმანათლებლო პროგრამას ამტკიცებს უნივერსიტეტის მართვის ორგანო „მმართველი საბჭო“ (პ.7.4.). საბჭოს თავმჯდომარეა უნივერსიტეტის რექტორი, რომელიც საბჭოს გადაწყვეტილებას გამოსცემს დადგენილების სახით (მუხლი 9.)

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „საჰაერო ხომალდების ტექნიკური მომსახურება (B1.3)“ დამტკიცებულია დაწესებულების მიერ განსაზღვრული უფლებამოსილი ორგანოს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის მმართველი საბჭოს მიერ. (ოქმი N45/24, 19.07.2024). **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი -** პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „საჰაერო ხომალდების ტექნიკური მომსახურება (B1.3)“ შემუშავებულია პროფესიული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

საგანმანათლებლო სტანდარტის „საჰაერო ხომალდების ტექნიკური მომსახურება“ (რეგისტრაციის ნომერი - 07112-პ) შესაბამისად. დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება ანალოგიურია ჩარჩო დოკუმენტის სახელწოდების, მოიცავს ავიაციის დარგში არსებულ კომპეტენციის კლასიფიკაციის აღმნიშვნელ კოდს, რაც პროგრამის ხელმძღვანელის განმარტებით, სავალდებულოა რადგან აღნიშნული კოდებით იდენტიფიცრდება სპეციალისტების კომპეტენციის დონე. საგანმანათლებლო პროგრამის კვალიფიკაციის ფორმულირებაც მოიცავს კოდს - განათლების საერთაშორისო კლასიფიკატორიდან (ISCED) კოდს. პროგრამით გათვალისწინებული მისანიჭებელი კვალიფიკაციაა „უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია საჰაერო ხომალდების ტექნიკურ მომსახურებაში 0716“, რაც არ შეესაბამება ამ სფეროს ეკჩ-თი განსაზღვრულ კვალიფიკაციათა ჩამონათვალს. <u>შესაბამისად, გაიცა რეკომენდაცია, „საჰაერო ხომალდების ტექნიკური მომსახურება (B1.3)“ საგანმანათლებლო პროგრამით მისანიჭებელი კვალიფიკაცია განისაზღვროს ეკჩ-ს კვალიფიკაციის (0716.3.1 საჰაერო ხომალდების ტენიკური მომსახურება Aircraft Maintenanse) იდენტურად - უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია საჰაერო ხომალდების ტექნიკური მომსახურებაში</u>

**წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და პერსონალთან გასაუბრებით დგინდება, რომ პროგრამის სახელწოდება შეესაბამება შინაარსს და არ არის შეცდომაში შემყვანი - ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს** - პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა შემუშავებულია ჩარჩო დოკუმენტის **საჰაერო ხომალდების ტექნიკური მომსახურება** (სარეგისტრაციო ნომერი - 07112-პ) საფუძველზე. ჩარჩო დოკუმენტი შემუშავებულია დაწესებულების ინიცირების საფუძველზე, ა(ა)იპ პროფესიული უნარების სააგენტოს მიერ, უნივერსიტეტის პერსონალის ჩართულობით. დაწესებულების მიერ პროგრამის შემუშავება განხორციელდა USAID-ის პროგრამის „დამსაქმებლები პროფესიული განათლებისთვის“ ფარგლებში. ჩარჩო დოკუმენტის შინაარსის საერთაშორისო მოთხოვნებსა და რეგულაციებთან შესაბამისობას ადასტურებს სსიპ სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს წერილიც (#05/1453, 16.05.2024). ამასთან დარგში არსებული რეგულაციების თანახმად, დაწესებულება ვალდებულია სააგენტოს წარუდგინოს პროგრამა, განმახორციელებელი პირების სია, დადგენილი წესის თანახმად სხვა პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული დოკუმენტები, შესათანხმებლად (შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის წერილი #682/24, 02.05.2024). ვიზიტის დროს, დაწესებულებას წარდგენილი ჰქონდა დოკუმენტაცია მაკონტროლებელ ორგანოში, რაც დაადასტურა სააგენტოს წარმომადგენელმაც.

პროგრამით განსაზღვრულია სახელწოდება, მიზნები, პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, მისაღწევი სწავლის შედეგები, მოიცავს დეტალურ აღწერას პროგრამის ფარგლებში მისაღწევის პროფესიული უნარების, ცოდნის შესახებ - ე.წ. კომპეტენციების რუკას; შეფასების მიმართულებები, პროგრამის მოცულობა, პროგრამის სავარაუდო ხანგრძლივობა, მისანიჭებელი კვალიფიკაცია და კვალიფიკაციის მინიჭების პირობები, რაც საჰაერო ხომალდის ტექნიკური მომსახურების სპეციალისტის სერტიფიცირების დადგენილი წესის თანახმად ითვალისწინებს მითითებას დასაქმებისთვის სავალდებულო ლიცენზირების შესახებ (პ.6 „დასაქმების სფერო და კარიერული შესაძლებლობები“). დაწესებულების მიერ წარმოდგენილა პროგრამის დანართები: მოდულები, სასწავლო გეგმა, ინფორმაცია ადამიანური და მატერიალური რესურსების შესახებ.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისა და მოდულების პროგრამის შინაარსი და სტრუქტურა განსაზღვრულია EASA-ს (ევროპის ავიაციის უსაფრთხოების სააგენტოს) მოთხოვნების შესაბამისად და ითვალისწინებს 17 პროფესიულ მოდულს - ჯამური 126,5 კრედიტის მოცულობით. სადაც 6 კრედიტს მოიცვს ზოგადი უნარების განვითარების მოდულები („მეწარმეობა“, „ინფორმაციული წიგნიერება 2“), პრაქტიკული კომპონენტი მოიცავს 40 კრედიტს. პროგრამის ხანგრძლივობაა 66 კვირა/2 წელი, განხორციელების ენა - ინგლისური, რის დასტურადაც დაწესებულების მიერ წარმოდგენილია საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს თანხმობის წერილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას აქვს თანმიმდევრული სტრუქტურა. სასწავლო გეგმაში დაცულია პროგრამის კომპონენტების წინაპირობები. პროფესიული სტუდენტების შესაძლო კვირეული დატვირთვა არ აღემატება 40 საათს - **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

- დაწესებულების მისია;
- დაწესებულების სტრატეგიული განვითარების გეგმა 2021-2027 წწ.;
- დაწესებულების რექტორის დადგენილებით (18.07.2024წ. N 45/24) დამტკიცებული „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“;
- პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამა „საჰაერო ხომალდების ტექნიკური მომსახურება (B1.3)“
- დაწესებულების დებულება 05/07 05.12.2023
- საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის რექტორის 19/07/2024 წ. დადგენილება 05/06. მმართველი საბჭოს ოქმი N45/24
- დაწესებულების მიერ ბაზრის კვლევის მტკიცებულებები;
- სსიპ სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს წერილები: #09/2162,30.09.2022; #05/1453, 16.05.2024
- დაწესებულების „სტუდენტთა კონტიგენტის განსაზღვრის მეთოდოლოგია“
- საქართველოს მთავრობის განკარგულება #1436, 07.08.2023
- შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის წერილი #682/24, 02.05.2024
- სსიპ სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორის 2024 წლის 1 აგვისტოს ბრძანება #173 “შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტზე საფრენი მოედანი „მიმინოს“ რეგისტრაციის მოწმობის გაცემის შესახებ“
- საჰაერო ხომალდის ტექნიკური მომსახურების სასწავლო დაწესებულების სერტიფიკატი GE.147.0001; სსიპ სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს ვებ გვერდი https://gcaa.ge/aviation-training-organizations/
- საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს თანხმობის წერილი საგანმანათლებლო პროგრამის ინგლისურ ენაზე განხორციელების შესახებ # 840954 10.07.2024 წ.
- ინტერვიუს შედეგები დაწესებულების ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან და პროგრამის განმახორციელებლებთან.

**შეფასება:**

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

**2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი**

**2.2.1** პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

**კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

**1.პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით** - ექსპერტთა ვიზიტის ფარგლებში გადამოწმდა დაწესებულების მფლობელობაში საგანმანათლებლო პროგრამის „საჰაერო ხომალდების ტექნიკური მომსახურება (B1.3) „ განხორციელებისათვის საჭირო მატერიალური რესურსი. საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის მოწყობილია ორი B გარემო 20-20 პროფესიულ სტუდენტზე გათვლილი მაგიდებით, სკამებით, კომპიუტერებით, პროექტორით, დაფით და მასწავლებლის მაგიდით და სკამით. სამი A/C გარემო: საჰაერო ხომალდების რადიო სანავიგაციო მოწყობილობების (24 სამუშაო ადგილი), საავიაციო ძრავების (24 სამუშაო ადგილი) და აეროდინამიკის (12 სამუშაო ადგილი) ლაბორატორიები, რომლებიც აღჭურვილია შესაბამისი ინფრასტრუქტურით და სადემონსტრაციო საშუალებებით. ერთი A გარემო - საგამოცდო ცენტრი, რომელიც დარგობრივი თეორიული გამოცდების ჩასატარებლად არის მოწყობილი. ერთი C გარემო, პრაქტიკული სწავლების სახელოსნო (ე.წ. workshop, საერთო ფართი: 287 კვ.მ; იხ. ასევე 2.4.1. ინდიკატორი). სასწავლო სივრცე მოეწყო და აღიჭურვა USAID-ის პროგრამის „დამსაქმებლები პროფესიული განათლებისთვის“ ფარგლებში. სახელოსნო აღჭურვილია Boeing 747-ის ტიპის საჰაერო ხომალდის ძრავით, ფურცლოვანი მეტალის დასამუშავებელი ჩარხებით, ელექტროგაყვანილობის სტენდებით, კომპოზიტური მასალებისა და ურღვევი კონტროლის ლაბორატორიით, აერომეტრული ხელსაწყოების დასაკალიბრებელი მოწყობილობით და სხვა თანამედროვე მზომი ხელსაწყოებით.

დაწესებულების მფლობელობაშია ასევე შემდეგი ლაბორატორიები: ელექტროტექნიკის, ელექტრონიკის, საჰაერო ხომალდების ელექტრული სისტემების, საავიაციო ხელსაწყოების, საჰაერო ხომალდების კონსტრუქციების ლაბორატორიები, ასევე ზოგადი ფიზიკის 2 ლაბორატორია, რომელსაც გამოიყენებს პროგრამის განხორციელებისას. სასწავლო გარემოების აღჭურვა შესაბამისია წარმოდგენილი მატერიალური რესურსის ნუსხის და მოდულის განხორციელების/სწავლის შედეგების მიღწევისთვის აუცილებელი ტექნიკით და ინვენტარით.

დაწესებულება ფლობს Boeing 737-200 თვითმფრინავს, რომელიც მდებარეობს თბილისის საერთაშორისო აეროპორტში. თვითმფრინავი არ არის შესაფერისი ფრენისთვის, და გამოყენება საჰაერო ხომალდზე პრაქტიკული სწავლების (აწყობის/დაშლის სავარჯიშოები და პროცედურები) მიზნით. უნივერსიტეტის მფლობელობაშია საჰაერო ხომალდების ტექნიკური მომსახურების საწარმო, რომელიც ტექნიკურ მომსახურებას უწევს იტალიური და ამერიკული წარმოების საჰაერო ხომალდებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულება პროგრამის განხორციელებას გეგმავს კოოპერაციული ფორმით. პრაქტიკული კომპონენტის განხორციელება, დაგეგმილია, როგორც დაწესებულების, ისე პარტნიორ კომპანიებში. პრატქიკის მოდულების განხორციელება შესაძლებელია თელავის აეროპორტისა, საჰაერო ხომალდების ტექნიკური მომსახურების ცენტრში, რომლის განკარგვის უფლებამოსილება აქვს უნივერსიტეტს. საქართველოს მთავრობის 2023 წლის 7 აგვისტოს #1436 განკარგულების საფუძველზე (პ.5, ბ.ა)). აღნიშნული დოკუმენტის თანახმად, დაწესებულება საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელების მიზნით, უფლებამოსილია ისარგებლოს აეროპორტის ტერიტორიაზე განთავსებული საჰაერო ხომალდის სტენდით, ანგარით და არანაკლებ 30 სტუდენტზე გათვლილი სასწავლო/საკლასო სივრცით, ასევე გაუწიოს საკუთარ ხომალდებს საჭირო მომსახურება. ამავე განკარგულების თანახმად, შპს „აეროპორტების გაერთიანება“ ვალდებულია უზრუნველყოს, დაწესებულების (მისი ობიექტზე არსებობის ვადით), სახმელეთო და უშიშროების მომსახურება უსასყიდლოდ.

პრაქტიკის კომპონენტისთვის განკუთვნილი ობიექტებთან დაკავშირებით, დაწესებულებამ წარმოადგინა საქართველოს მთავრობის განკარგულება (#1436, 07.08.2023), რის საფუძველზეც მინიჭებული აქვს თელავის აეროპორტში ოპერირების უფლება, ასევე სსიპ სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს მიერ გაცემული ნებართვები, რაც დაწესებულებას აძლევს შესაძლებლობას განახორციელოს პროგრამის მოდულების შინაარსით გათვალისწინებული საქმიანობა. დაწესებულებამ წარმოადგინა ასევე მემორანდუმები შპს „ჯეო სქაის“ თელავის ტექნიკური მომსახურების საწარმოსთან. პრაქტიკის განმახორციელებელი ობიექტების გაცნობის მიზნით განხორციელდა ვიდეო ზარი. შედგა გასაუბრება წარმომადგენლებთან/ინსტრუქტორებთან.

ვიზიტის ფარგლებში დაწესებულებამ წარმოადგინა ასევე პრაქტიკული სწავლების სახელოსნოს დატვირთვის სქემა. სასწავლო სივრცის გამტარუნარიანობის დემონსტრირებისთვის, იხელმძღვანელა: ინსტრუქტორების (4 პირი), საგანმანათლებლო პროგრამებზე სტუდენტების დადგენილი კვოტის რაოდენობის (1/2), პროგრამით განსაზღვრული საკონტაქტო საათების (კაც/საათები), სასწავლო სივრცის დღიური დატვირთვის შესაძლებლობა და საავიაციო სტანდარტით დადგენილი ინსტრუქტორისა და სტუდენტების თანაფარდობით (1/7) მაჩვენებლებით. გაანგარიშების საფუძველზე, დაწესებულების ყველა საგანმანათლებლო პროგრამისათვის პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებისთვის საჭიროა 127 დღე, ხოლო სასწავლო გეგმით პრატიკის განხორციელება დაგეგმილია 14 კვირის განმავლობაში, პროგრამის ხანგრძლივობა შეადგენს 66 კვირას. ამასთან გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ „საჰაერო ხომალდების ტექნიკური მომსახურება (B 1.3)“-ის საგანმანათლებლო პროგრამის პრაქტიკული მოდულების განხორციელება თან გასდევს სასწავლო პროცესს ხოლო „მსუბუქი თვითმფრინავების ტექნიკური მომსახურება (B3)“ საგანმანათლებლო პროგრამის პრაქტიკული მოდულების განხორციელება იწყება მეორე წლიდან. ასევე, დაწესებულებას ინგლისურენოვან საგანმანთლებლო პროგრამებზე მიღება შეუძლია გამოაცხადოს ნებისმიერ დროს და ისე დაგეგმოს მათი განხორციელება, რომ რაციონალურად გადანაწილდეს სასწავლო სივრცის/პრაქტიკის ობიექტის დატვირთვა.

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „საჰაერო ხომალდების ტექნიკური მომსახურება (B1.3)“, დაწესებულების მიერ ზღვრულ რაოდენობად განსაზღვრულია 20 პროფესიული სტუდენტი, ფაქტობრივი გარემოებებისა და წარმოდგენილი დოკუმენტაციის გათვალისწინებით დასტურდება, რომ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**2.პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას** - საჰაერო ხომალდების ტექნიკური მომსახურება (B1.3) პროგრამის განხორციელების მიზნით, დაწესებულების მიერ შერჩეულია 19 პროფესიული განათლების მასწავლებელი. პროფესიული/დარგობრივი მოდულების განხორციელებაში ჩართულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მინიმუმ 2 პირი. პროგრამის ხელმძღვანელმა და დაწესებულების წარმომადგენლებმა აღნიშნეს, პედაგოგების განაწილება საერთაშორისო სტანდარტით მკაცრად რეგლამენტირებულია, შესაბამისად, მოდულებისთვის შეირჩა ის პირები, რომლებსაც აქვთ მოდულით გათვალისწინებული სწავლის შედეგების შესაბამისი კომპეტენციები დადასტურებული (ფლობს შესაბამისი მოდულის განხორციელების სერტიფიკატს).

საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმით კვირეული საათობრივი დატვირთვა და დაწესებულების მიერ განმახორციელებელ პირებთან გაფორმებული შრომითი ურთიერთობის შესახებ ხელშეკრულების მოთხოვნებით, პერსონალის დატვირთვა არ აღემატება საკანონმდებლო მოთხოვნებს - **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

3. **პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია** - დაწესებულების პროგრამა უზრუნველყოფილია შესაბამისი პროფილის პროფესიული მასწავლებლებით, რომელთა კომპეტენცია დასტურდება მათი კვალიფიკაციით. დარგობრივი მოდულების განმახორციელებელი პროფესიული მასწავლებლები/ინსტრუქტორები აკმაყოფილებენ დარგში არსებული ნორმატიული აქტებით დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. მასწავლებლებს გავლილი აქვთ ინსტრუქტორთა მოსამზადებელი სპეციალური კურსი/კურსები. პროფესიული სტუდენტის სწავლებისა და შეფასების სპეციფიკის გათვალისწინებით, დაწესებულების მიერ განმახორციელებლებთან პერიოდულად და ასევ საჭიროების შემთხვევაში, ხორციელდება ტრენინგები/ვორქშოფები. დაწესებულების მიერ წარმოდგენილია პერსონალის სწავლების გეგმა (დამტკიცებულია 04.12.2023), ასევე თანამშრომლობის მემორანდუმი ლატვიის ორგანიზაციასთან TRITECH, რომელიც ითვალისწინებს EASA PART-66 პროგრამის მიხედვით პერსონალის მომზადებას. წარმოდგენილი გეგმით, დაწესებულებას დაგეგმილი აქვს 14 პირის სწავლება "Train the Trainer for Instructors", ხოლო ყველა განმახორციელებელი პირისთვის შიდა პროცედურების შესახებ. ღონისძიებების განხორციელების ვადაა 2024 წლის სექტემბერი. ტრენინგების თემატიკა მოიცავს სწავლებისთვის ისეთ მნიშვნელოვან საკითხებს, როგორიცაა: EASA რეგულაციების და PART-66 განახლებული მოდულების გაცნობა; ზრდასრულთა განათლების პრინციპები, სწავლების მეთოდები, გაკვეთილისა და სასწავლო გარემოს ორგანიზება, შეფასების, კითხვების/ტესტის მომზადების და უკუკავშირის მეთოდები, ონლაინ სწავლება. კურსის მოცულობაა 40 საათი.

პროფესიული განათლების მასწავლებლები ჩართულები იყვნენ, როგორც საგანმანათლებლო სტანდარტის, ისე დაწესებულების პროგრამების შემუშავების/ადაპტირების პროცესებში. ვიზიტის დროს შედგა განმახორციელებელ პირებთან გასაუბრება, რომლის შედეგად გამოიკვეთა, რომ აღნიშნული მოდულების განმახორციელებელ პირებს აქვთ საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების შესაბამისი კომპეტენცია, სწავლების და ასევე შეფასების ინსტრუმენტების შემუშავების გამოცდილება.

პერსონალის პირადი საქმეებში წარმოდგენილია ასევე ინგლისური ენის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტები. თუმცა პირადი საქმეები არაა სრულად დაკომპლექტებული, <u>შესაბამისად, გაიცა რეკომენდაცია, დაწესებულებამ უზრუნველყოს პერსონალის პირადი საქმეებში ყველა აუცილებელი დოკუმენტის განთავსება.</u>

**წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და განმახორციელებელ პირებთან გასაუბრების შედეგად დასტურდება, რომ პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებლებს აქვთ პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია, მათ შორის ინგლისურ ენაზე - ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი - პროგრამის ხელმძღვანელის კომპეტენტურობა და კვალიფიკაცია დასტურდება წარმოდგენილი პირადი საქმითა და მასთან გასაუბრების საფუძველზე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია სამოქალაქო ავიაციის სფეროში მუშაობის 10 წლიანი გამოცდილება, არის საჰაერო ხომალდების ტექნიკური მომსახურების სასწავლო ცენტრის ხელმძღვანელი. პროგრამის ხელმძღვანელის ფუნქციებია ასევე გამოცდების დაგეგმვა-მენეჯმენტი, შეფასების პროცესების დოკუმენტური უზრუნველყოფა, შეფასების შედეგების ანალიზი, ანგარიშგება და მტკიცებულებების დაარქივება და შენახვა.

პროგრამის ხელმძღვანელი ჩართული იყო საგანმანათლებლო სტანდარტისა და პროგრამის შემუშავებასა და მოდულების ადაპტაციის პროცესებში. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

5. **საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში** - საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსის ხელმისაწვდომობა უზრუნველყოფილია დაწესებულების ბიბლიოთეკის მიერ. დაწესებულების ვებ გვერდზე, ბიბლიოთეკის რუბრიკაში განთავსებულია წიგნადი ფონდის ელექტრონული კატალოგი, ასევე ელექტრონული სამეცნიერო ბაზები, დაწესებულების მიერ „საჰაერო ტრანსპორტის“ საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალის პერიოდული გამოცემები. ბიბლიოთეკით სარგებლობა შესაძლებელია კვირის სამუშაო დღეებსა (09:00-20:00) და შაბათს (10:15:00).

საგანმანათლებლო პროგრამისთვის დაწესებულების მფლობელობაშია ევროკავშირის საავიაციო უსაფრთხოების სააგენტოს (EASA) სახელმძღვანელოების უახლესი რედაქციები, პროგრამის ყველა მოდულისთვის, ასევე ადგილობრივი და საერთაშორისო რეგულაციები. დაწესებულების მიერ, შოთა რუსთაველის ფონდის გრანტის ფარგლებში, შემუშავდა საავიაციო სფეროს ილუსტრირებული ქართულენოვანი ლექსიკონი. დაწესებულების წარმომადგენლების განმარტებით, ლექსიკონის შემუშავების მიზანი იყო ასევე დარგში ქართულენოვანი ტერმინოლოგიის დამკვიდრება.

სასწავლო რესურსი ბიბლიოთეკაში ხელმისაწვდომია როგორც მატერიალურად, ასევე ელექტრონულად. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

6. **სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად** - პროგრამაზე დაშვების ერთ-ერთი წინაპირობაა ჯანმრთელობის დამადასტურებელი ცნობა (ფორმა №IV -100/ა“), რაც განპირობებული საკანონმდებლო მოთხოვნებით. საკანონმდებლო აქტითაა განსაზღვრული ჯანმრთელობის მდგომარეობისა და შეზღუდვების მაჩვენებლებიც. შესაბამისად, პრაქტიკულად შეუძლებელია ფიზიკური გადაადგილების ან ჯანმრთელობის მდგომარეობის ან შესაძლებლობების სხვა შეზღუდვების მქონე პირების პროგრამაზე მოხვედრა. თუმცა, დაწესებულების გარემო მოწყობილია იმგვარად, რომ შშმ პირთათვის ხელმისაწვდომია სერვისები, ბიბლიოთეკასა და აუდიტორიებთან წვდომა. სსსმ პირებისათვის შესაბამისი პირობების შესაქმნელად უნივერსიტეტს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში განსაზღვრული აქვს მექანიზმები, ასევე საგანმანათლებლო პროგრამის (პ.14) ითვალისწინებს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პროფესიული სტუდენტების სწავლების მიდგომებს, რაც გულისხმობს პროფესიული სტუდენტის ინტერესებიდან გამომდინარე ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებას. აღნიშნული საკითხების რეგულირებისთვის, შემუშავებული აქვს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების მეთოდოლოგია (#05/103, 26.02.2021), რომელიც ითვალისწინებს სხვადასხვა საჭიროებებს. ისგ-ის შემუშავების საფუძველი შესაძლოა გახდეს: პროფესიული სტუდენტის ჯანმრთელობის ან ოჯახური მდგომარეობა, განსაკუთრებული მიღწევები სპორტსა და ხელოვნებაში; მოდულით განსაზღვრული წინაპირობები, რომელიც არ იძლევა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული შემდეგი სასწავლო კურსების გავლის საშუალებას; პროფესიული სტუდენტის მიერ დადგენილ ვადაში საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული კრედიტების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

აუთვისებლობა. პროგრამაში ცვლილებების განხორციელება  და სხვა არგუმენტირებული სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროება - **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

7. **პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა** - დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის ბიუჯეტი გათვლილია კვოტის ფარგლებში 20 პროფესიულ სტუდენტზე.  შედგება შემოსავლების და ხარჯების ნაწილისაგან. ხარჯვითი ნაწილი დეტალიზებულია და მოიცავს ისეთ მნიშვნელოვან საკითხებს როგორიცაა: პროფესიული მასწავლებლების შრომის ანაზღაურება (56,4 %), პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის მივლინების, პროგრამის განხორციელებისათვის ტექნიკისა და ლაბორატორიების ექსპლუატაციისა და მოვლა-შენახვის,  ბიბლიოთეკის ხარჯები; ასევე რეკლამისა და სტუდენტური ღონისძიებების ორგანიზების ხარჯები, ადმინისტრაციული და სხვა ზოგადსაუნივერსიტეტო ხარჯების დაფინანსებისთვის გადაცემული თანხები, პროგრამის განვითარებაზე გაწეული ხარჯი.

შემოსავლებში განსაზღვრულია მხოლოდ სტუდენტებისგან მიღებული შემოსავლები. დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ბიუჯეტი არ ითვალისწინებს ამ ეტაპზე ვაუჩერულ დაფინანსებას, ვინაიდან, საგანმანათლებლო სტანდარტის განფასება პროფესიული უნარების მიერ ჯერ არ განხორციელებულა.  ბიუჯეტით არაა გაანგარიშებული რენტაბელობის ზღვარი. პროგრამის ხელმძღვანელის განმარტებით, დაწესებულებას USAID პროექტის ფარგლებში აქვს ვალდებულება, ნებისმიერ შემთხვევაში განახორციელოს პროგრამა, შესაბამისად ბიუჯეტის შედგენისას, აქცენტი არ გაკეთებულა პროგრამის კომერციულად სარგებლიანობაზე.

დაწესებულების წარმომადგენლების განმარტებით, არარენტაბელური ჯგუფის შემთხვევაში, უნივერსიტეტი თავად უზრუნველყოფს სხვა პროგრამების ბიუჯეტიდან თანხების მობილიზებას. ეფექტიანი მენეჯმენტი და პროფესიული პროგრამისადმი მაღალ ინტერესი - განაპირობებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის წარმატებით განხორციელებას.

<u>ექსპერტთა მხრიდან გაიცა რეკომენდაცია, ბიუჯეტში განისაზღვროს პროგრამის რენტაბელობის ზღვარი, რაც შესაძლებელს გახდის პროგრამის ფინანსური მდგრადობის სრულყოფილ ანალიზს.</u>

წარმოდგენილი პროგრამის ბიუჯეტით განსაზღვრულია პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო ყველა ხარჯი, ხოლო დაწესებულების ფინანსური რესურსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას - **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

- პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის „საჰაერო ხომალდების ტექნიკური მომსახურება (B1.3)“  დანართები რესურსების შესახებ;
- მატერიალური რესურსის ფლობის დოკუმენტაცია.
- დაწესებულების მიერ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის „საჰაერო ხომალდების ტექნიკური მომსახურება (B1.3)“ თვითშეფასების კითხვარი
- დაწესებულების დებულება  05/07 05.12.2023
- დაწესებულების  „სტუდენტთა კონტიგენტის განსაზღვრის მეთოდოლოგია“
- საქართველოს მთავრობის განკარგულება #1436, 07.08.2023

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- სსიპ სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორის 2024 წლის 1 აგვისტოს ბრძანება #173 "შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტზე საფრენი მოედანი „მიმინოს" რეგისტრაციის მოწმობის გაცემის შესახებ"
- საჰაერო ხომალდის ტექნიკური მომსახურების სასწავლო დაწესებულების სერტიფიკატი GE.147.0001; სსიპ სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს ვებ გვერდი https://gcaa.ge/aviation-training-organizations/
- დაწესებულების მიერ სასწავლო სახელოსნოს გამტარობის გაანგარიშების ცხრილი
- პერსონალის პირადი საქმეები
- დაწესებულების პერსონალის სწავლების გეგმა (04.12.2023)
- TRITECH-თან თანამშრომლობის მემორანდუმი (03.06.2021)
- დაწესებულების „პროფესიულ სასწავლო პროგრამებზე ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების მეთოდოლოგია" (26.02.2021)
- ინტერვიუს შედეგები დაწესებულების ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან და პროგრამის განმახორციელებლებთან.
- ვიზუალური დათვალიერების შედეგები.

**შეფასება:**

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

**2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება**

**2.3.1** პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;
2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

**კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

**1.პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ. –** დაწესებულებაში მოქმედებს პროგრამის შეფასებისა და გაუმჯობესების მექანიზმები, რომლის მიხედვითაც პროგრამას აფასებენ დაინტერესებული მხარეები, მათ შორის დამსაქმებლები. პროგრამების შეფასებისა და გაუმჯობესების პროცესის მიზანია საგანმანათლებლო პროგრამების მუდმივი შესაბამისობის უზრუნველყოფა დარგობრივ საერთაშორისო სტანდარტებთან, საკანონმდებლო სიახლეებთან, პროფესიულ და ინდუსტრიულ პრაქტიკასთან, ასევე სწავლების უახლეს მეთოდებთან.

დაწესებულების დებულებით განსაზღვრულია სტრუქტურული ერთეულები, მათი ფუნქციები. დაწესებულებაში ფუნქციონირებს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური (4 საშტატო ერთეულით), რომლის ერთ-ერთი საშტატო ერთეულია პროფესიული პროგრამების ხარისხის მენეჯერი. ასევე დებულების თანახმად, დასაქმებისა და კარიერის განვითარების მენეჯერის ფუნქციაა ადგილობრივი და საერთაშორისო შრომის ბაზრის მოთხოვნებისა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

და თანამედროვე შრომითი ტენდენციების შესახებ ინფორმაციის მოპოვება, ანალიზი, კურსდამთავრებულთა კმაყოფილების კვლევის ჩატარება. ანალიზისა და კვლევის შედეგების შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებთან გაზიარება და მათი საქმიანობაში გამოყენება (დაწესებულების დებულება მუხლი 26).

დაწესებულებას შემუშავებული აქვს საერთაშორისო მოთხოვნების გათვალისწინებით დოკუმენტი „Maintenance Training Organisation Exposition", რომლის მიზანია დაწესებულების სასწავლო პროცესის ხარისხის სისტემის მენეჯმენტის უზრუნველყოფა. დოკუმენტში გაწერილია საგანმანათლებლო საქმიანობისა და ავია სპეციალისტების მომზადებისთვის ყველა აუცილებელი პროცესის მართვისა და შემოწმების პროცედურები. პროცედურის ერთ-ერთი მოთხოვნაა ასევე შიდა აუდიტის ჩატარება. დაწესებულებას ჰყავს ხარისხის მენეჯმენტის სისტემების სერტიფიცირებული აუდიტორი, რომელიც აუდიტის წლიური პროგრამის/გეგმის შესაბამისად ახდენს, პერსონალის და ყველა სასწავლო პროცედურის, პროცესის შემოწმებას, მათ შორის რესურსების. დაწესებულებაში ამავე პროცედურის და დარგის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე ფუნქციონირებს ხარისხისა და უსაფრთხოების საბჭო, რომლის სხდომებიც იმართება არა ნაკლებ 2-ჯერ წელიწადში, სადაც განიხილება შიდა შეფასებების/აუდიტის შედეგები, საჭიროების შემთხვევაში იგეგმება მაკორექტირებელი ქმედებები.

დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრებისას, ასევე დებულების თანახმად, უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური შეისწავლის განათლების სფეროში არსებულ ტენდენციებს, გარე ფაქტორების ცვლილებებს; პროგრამის მართვასა და ხარისხის კონტროლზე პასუხისმგებლობა ეკისრება პროგრამის ხელმძღვანელს. დაწესებულებას შემუშავებული აქვს შესაბამისი კითხვარები, რომელთა გამოყენებითაც რეგულარული სახით ახორციელებს პროგრამის შეფასებას, სტუდენტების გამოკითხვას. სტუდენტები პროგრამის შეფასებისა და გაუმჯობესების პროცესში ჩართული არიან გამოკითხვებისა და აკადემიური შეფასების მექანიზმების მეშვეობით. პროგრამების შეფასებისას უნივერსიტეტი ითვალისწინებს როგორც სტუდენტებისგან მიღებულ უკუკავშირს, ასევე მათ აკადემიურ მოსწრებას, აკადემიური შინაარსის საჩივრებსა და აპელაციებს. პროგრამის ხელმძღვანელი ახორციელებს გამოკითხვის ფარგლებში შეგროვებული ინფორმაციის სტატისტიკურ ანალიზს და მიღებულ შედეგებს პროგრამის შეფასების ყოველწლიური ანგარიშის სახით წარუდგენს ფაკულტეტის და უნივერსიტეტის ხელმძღვანელობას.

პროგრამის შეფასებისა და გაუმჯობესების პროცედურა ითვალისწინებს პროგრამის შეფასების შიდა და გარე მექანიზმებს. შეფასების გარე მექანიზმებში მოიაზრება: განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის, სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს, ევროპის საავიაციო უსაფრთხოების სააგენტოს (EASA), სამოქალაქო ავიაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (ICAO) შეფასება, ასევე კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა გამოკითხვა. დაწესებულების საქმიანობა და საგანმანათლებლო პროგრამები ექვემდებარება საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს მხრიდან რეგულარულ შეფასებას.

დაწესებულებაში ასევე დანერგილია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასებისა და აკადემიური მოსწრების ანალიზის მექანიზმები, რომლის მიზანია, განსაზღვროს სწავლის შედეგების შესაბამისობა საგანმანათლებლო პროგრამის შედეგებთან, ასევე მოახდინოს პრობლემის იდენტიფიცირება და შესაბამისი ღონისძიებების დროული გატარება, რაც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის შრომის ბაზარის მოთხოვნებთან მუდმივ შესაბამისობაში ყოფნას და მის მუდმივ გაუმჯობესებას (იხ. ქვ. 2.4.2. (4)).

**ფაქტობრივი გარემოებების, პერსონალთან გასაუბრებისა და წარმოდგენილი დოკუმენტების გათვალისწინებით, დასტურდება, რომ პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, ასევე საუკეთესო ადგილობრივ და საერთაშორისო პრაქტიკას - ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად** - დაწესებულების „პროფესიულ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

საგანმანათლებლო პროგრამებზე სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით“ განსაზღვრულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებისა და მასში ცვლილებების შეტანის პროცედურა (მუხლი 5).

დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრებისას, ასევე დებულების თანახმად, უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური შეისწავლის განათლების სფეროში არსებულ ტენდენციებს, გარე ფაქტორების ცვლილებებს, აგროვებს პროგრამების შეფასების პროცესის ფარგლებში ჩატარებული შიდა და გარე გამოკითხვების შედეგებს, ხოლო პროგრამაში ცვლილებების ინიცირებაზე უფლებამოსილია ფაკულტეტის დეკანი და საბჭო. პროცედურა ითვალისწინებს ისეთ ფაქტორებს, როგორიცაა პროფესიული, დარგობრივი თუ საკანონმდებლო მოთხოვნების ცვლილებები. სწორედ ამ საკანონმდებლო და საერთაშორისო სტანდარტებში ცვლილებებმა განაპირობა დაწესებულების მიერ პროფესიული უნარების სააგენტოში ჩარჩო დოკუმენტის ცვლილებისა და პრაქტიკული კომპონენტის გაძლიერების აუცილებლობის ინიცირება - **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- დაწესებულების „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“ 18.07.2024
- „Maintenance Training Organisation Exposition“ 07.2022
- შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის დირექტორის წერილი #920/22, 19.09.2022
- პროგრამის შეფასებისა და გაუმჯობესების პროცედურა (#08/05, 08.07.2019)
- სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი (#08/10, 27.12.2019)
- ინტერვიუს შედეგები დაწესებულების ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან და პროგრამის განმახორციელებლებთან.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

**2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება**

**2.4.1** სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანა განმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

**კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1. **პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად** - პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამას თან ახლავს სასწავლო გეგმა. პროგრამის თანახმად, საჰაერო ხომალდების ტექნიკურ მომსახურებაში უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაციის მისანიჭებლად, პირმა უნდა დააგროვოს ჯამში 126,5 კრედიტი. სასწავლო გეგმით, პროგრამის ხანგრძლივობაა 2 აკადემიური წელი/66 კვირა. თეორიული სწავლების დაგეგმვისას, დაწესებულებას გათვალისწინებული აქვს ევროკომისიის რეგულაცია #1321/2014, რომლის თანახმად, სწავლება არ უნდა აღემატებოდეს დღეში 6 ასტრონომიულ საათს. მოდულები დაგეგმილია ისე, რომ პარალელურად ხორციელდება არაუმეტეს სამი პროფესიული მოდული. თეორიული მოდულების პარალელურად დაგეგმილია პრაქტიკული კომპონენტი, რათა უზრუნველყოფილი იყოს თეორიული ცოდნის პრაქტიკაში განმტკიცება.

   სასწავლო გეგმით უზრუნველყოფილია მოდულების ლოგიკური და თანამიმდევრული განხორციელება, პროგრამის კომპონენტებით განსაზღვრული წინაპირობების დაცვა და პროფესიული სტუდენტისათვის ადეკვატური კვირეული დატვირთვა.

***წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და პერსონალთან გასაუბრების შედეგების გათვალისწინებით, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა განხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად*** **- ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. **პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე -** დაწესებულების წარმომდგენლების განმარტებით, უნივერსიტეტი უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთათვის ეფექტიანი სასწავლო გარემოს შექმნას, პროცესის მუდმივი ზედამხედველობით/მონიტორინგის გზით, რაც გულისხმობს: გამოკითხვებს, ინდივიდუალურ ან/და ჯგუფურ შეხვედრებს, კონსულტაციებს. დაწესებულება ასევე ითვალისწინებს სტუდენტთა კონტინგენტის ინტერესებს და უზრუნველყოფს მოქნილი სასწავლო გეგმისა და საათობრივი დატვირთვის ბადის (ცხრილის) შემუშავებას, სწავლების ფორმატს (ონლაინ/შერეული), ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავებას (იხ. ასევე 2.1.1.(6) ინდიკატორი), ინდივიდუალურ კონსულტაციებს, დამატებით მეცადინეობებს, მობილობის შესაძლებლობას, კრედიტების/ფორმალური განათლების აღიარებას და სხვა.

   დაწესებულებას შემუშავებული აქვს „სოციალურად მოწყვლადი სტუდენტების მხარდაჭერის მექანიზმები“ (#08/06,15.07.2019), რომელიც ითვალისწინებს სწავლის საფასურის მოქნილი გადახდის გრაფიკებსა და შეღავათებს სხვადასხვა სოციალურად მოწყვლადი ჯგუფების წარმომადგენელთათვის (მუხლები: 5 და 6). პერსონალთან გასაუბრებისა და დაწესებულების დოკუმენტაციის საფუძველზე, დასტურდება, რომ პროფესიული სტუდენტების ინტერესებისა და საჭიროებისას, დაწესებულება, არსებული მექანიზმების საფუძველზე, სათანადოდ და დროულად მოახდენს რეაგირებას - **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

3. **სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას** - სასწავლო პროცესი მიმდინარეობს საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს და ევროკავშირის ავიაციის უსაფრთხოების სააგენტოს (EASA) მოთხოვნების შესაბამისად. სასწავლო პროცესში გამოიყენება CBT (კომპიუტერზე დაფუძნებული სწავლება). USAD პროგრამის ფარგლებში განახლდა კომპიუტერული კლასები, კომპიუტერებში ჩატვირთულია პროგრამისთვის საჭირო უახლესი პროგრამული უზრუნველყოფა. ლაბორატორიები და სახელოსნო აღჭურვილია თანამედროვე დანადგარებითა და ხელსაწყოებით. დაწესებულებისა და მისი ქვეკონტრაქტორების მფლობელობაშია პროგრამის სწავლებისთვის საჭირო საჰაერო ხომალდები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**ფაქტობრივი მდგომარეობის, წარმოდგენილი დოკუმენტებისა და ვიზუალური დათვალიერების საფუძველზე დასტურდება, რომ ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები - საგანმანათლებლო პროგრამის სწავლებისა და შეფასებისთვის დაწესებულება იყენებს საერთაშორისო სახელმძღვანელოებსა და კითხვათა ბანკს. დარგში, კომპეტენციებისა და ცოდნის დონეებისთვის, მკაცრად რეგლამენტირებულია თეორიული თუ პრაქტიკული დავალებების შინაარსი, მოცულობა, დავალებების შესრულების ჯერადობა, შეფასებისა და სწავლებისთვის განკუთვნილი საათები. საგანმანათლებლო პროგრამა შინაარსობრივი, ასევე სტრუქტურული თვალსაზრისით აგებულია არსებული სტანდარტებისა და სტუდენტთა საჭიროებების მაქსიმალური გათვალისწინებით. სწავლის შედეგების მიღწევის პროცესში პრაქტიკის ინსტრუქტორები ინდივიდუალურად მუშაობენ თითოეულ სტუდენტთან, მათი საჭიროებიდან გამომდინარე - შესაბამისად **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

5. **პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანა განმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით** - დაწესებულების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა იძლევა შესაძლებლობას, საგანმანათლებლო პროგრამა განხორციელდეს უნივერსიტეტის ბაზაზე, თუმცა მდგრადობის თვალსაზრისით თანამშრომლობს დარგში წამყვან კომპანიებთან, რაც დასტურდება შესაბამისი მემორანდუმითა და ხელშეკრულებებით. დაწესებულებას თანმხვედრ ინტერესების შესაბამისად საავიაციო დარგის განვითარებისა და სტუდენტების პრაქტიკული სწავლებისთვის თანამშრომლობის მემორანდუმები აქვს გაფორმებული შედეგ კომპანიებთან: შპს „ჯეო სქაი ტექნიქსი“ (თბილისისა და თელავის ფილიალები, 01.07.2024); შპს „ჯორჯიან ეარვეისი“ (02.07.2024), „იზი ჩარტერი (02.07.2024), ავიაკომპანია “კამექს ეარლაინს“ (01.07.2024). გაფორმებული მემორანდუმების საფუძველზე პარტნიორი კომპანიები უზრუნველყოფენ უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვას, ასევე სწავლებისთვის აუცილებელი სახარჯი მასალისა და შესაბამისი კვალიფიკაციის, სერტიფიცირებული ინსტრუქტორების გამოყოფას. დაწესებულების პარტნიორი დაწესებულებები აცნობიერებენ დარგის გამოწვევებს, ასევე პროფესიული განათლების მიზნებს, მნიშვნელობას და გამოხატავენ მზაობას ჩაერთონ პროფესიულ განათლებაში. ჩართვის მოტივაციას განაპირობებს ასევე საკუთარი კომპანიისთვის პერსონალის შერჩევა/მომზადება. პარტნიორი დაწესებულებების საქმიანობა დასტურდება სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს მიერ გაცემული ოფიციალური ნებართვის დოკუმენტებით.

დაწესებულების პრაქტიკის ობიექტების შერჩევის მთავარი კრიტერიუმია, საკანონმდებლო მოთხოვნების გათვალისწინებით მაკონტროლებელი ორგანოს მიერ აღიარება და საქმიანობის ლიცენზიების ფლობა. დაწესებულების მიერ კოოპერაციული სწავლებისთვის შერჩეული ობიექტები/პარტნიორები შესაბამისია საქართველოს მთავრობის 2022 წლის 9 აგვისტოს #416 დადგენილებით „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამის/პროფესიული მომზადების პროგრამის/პროფესიული გადამზადების პროგრამის სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ფორმით განხორციელების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ განსაზღვრული მოთხოვნებისა.

პარტნიორი ორგანიზაციების წარმომადგენლებთან და პერსონალთან გასაუბრებით, ნათლად ჩანდა, პარტნიორი დაწესებულებების პერსონალის მზაობა და მოტივაცია პროგრამის განხორციელების ადმინისტრაციულ და სასწავლო ღონისძიებებში.

**ფაქტობრივი მდგომარეობის, წარმოდგენილი დოკუმენტებისა და პარტნიორი კომპანიების წარმომადგენლებთან გასაუბრების საფუძველზე დასტურდება, რომ ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

6. **სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით** - დაწესებულებას, პროფესიული პროგრამის „საჰაერო ხომალდების ტექნიკური მომსახურება (B1.3)“ უსაფრთხოების დაცვასთან დაკავშირებით განსაკუთრებულ მიდგომები აქვს. უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და დაცვის საკითხები ექვემდებარება როგორც შიდა, ისე გარე, სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს აუდიტების დროს კონტროლს. შეფასების შედეგები წარედგინება დაწესებულების ხარისხისა და უსაფრთხოების საბჭოს, რომელიც საჭიროებისას შეიმუშავებს მაკორექტირებელ და გაუმჯობესების წინადადებებს.

დაწესებულების სტრუქტურა ითვალისწინებს შრომის უსაფრთხოების სამსახურს, ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნების გათვალისწინებით შრომის უსაფრთხოების სპეციალისტები (2 პირი). შრომის უსაფრთხოების სამსახური სხვა სამსახურებთან კოორდინირებული მუშაობით უზრუნველყოფს უსაფრთხო სასწავლო და სამუშაო გარემოს შექმნას როგორც პროფესიული სტუდენტების და პერსონალისთვის, ისე ვიზიტორებისთვის.

შენობის მთელ პერიმეტრზე, თვალსაჩინო ადგილზე განთავსებულია პირველადი სახანძრო საშუალებები/ცეცხლმაქრები, განთავსებულია ევაკუაციის გეგმები, პროცედურები, შესაბამისი მიმმართველები; ლაბორატორიებსა და სასწავლო სივრცეებში, ყველგან გამოკრულია როგორც ზოგადი, ისე კონკრეტულ ტექნიკასთან/დანდგართან უსაფრთხო მუშაობის წესები. ყველა მოწყობილობასთან გამოკრულია პერსონალური დაცვის საშუალებები ინფოგრაფიკა. დანადგარებთან არის მიახლოების შემზღუდველი ბარიერი/ნიშანდება. ლაბორატორიებსა და სახელოსნოებში განთავსებულია პირველადი დახმარების ყუთები, რომლებიც დაკომპლექტებულია სრულად, ყველა საჭირო საშუალებით. დაწესებულება, საკანონმდებლო მოთხოვნების დაცვით, ახორციელებს ლიფტის ტექნიკური შემოწმებისა და უსაფრთხოების რეგულარულ კონტროლს.

დაწესებულებას შემუშავებული აქვს „ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოებისა და სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები“, რომელიც ასევე მოიცავს უსაფრთხოების უზრუნველყოფის და წესრიგის დაცვის ღონისძიებებს. ფაქტობრივი გარემოებებისა და დაწესებულების პერსონალთან გასაუბრების საფუძველზე დასტურდება, **სასწავლო პროცესი მიმდინარეობა უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით - ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- დაწესებულების „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“ 18.07.2024
- „Maintenance Training Organisation Exposition“ 07.2022
- პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის „საჰაერო ხომალდების ტექნიკური მომსახურება (B1.3)“ სასწავლო გეგმა;
- დაწესებულების დებულება 05/07 05.12.2023
- პარტნიორ კომპანიებთან გაფორმებული ხელშეკრულებები
- „ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოებისა და სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები“ (#08/07, 09.09.2019)
- სოციალურად მოწყვლადი სტუდენტების მხარდაჭერის მექანიზმი (#08/06,15.07.2019)
- ინტერვიუს შედეგები დაწესებულების ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან და პროგრამის განმახორციელებლებთან.
- ვიზუალური დათვალიერების შედეგები

**2.4.2** შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

**კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. **პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური** - დაწესებულებას, შეფასების პროცესთან დაკავშირებული რეგულაციები, მ.შ. შეფასების ინსტრუმენტები შეთანხმებული აქვს საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სააგენტოსთან. შეფასების სისტემა აგებულია ევროკავშირის ავიაციის უსაფრთხოების სააგენტოს (EASA) სტანდარტების შესაბამისად. შეფასების ეს სისტემა გათვალისწინებულია საგანმანათლებლო სტანდარტშიც და გულისხმობს ევროპული სტანდარტებით და მარეგულირებელი უწყებების მიერ განსაზღვრულ შეფასებას, რომელიც ხორციელდება ყოველი მოდულის დასრულების შემდეგ, ერთჯერადად, მარეგულირებლის მიერ განსაზღვრული კითხვარების/შეფასების ინსტრუმენტების გამოყენებით. სისტემა ითვალისწინებს განმავითარებელ შეფასებასაც, რომლის გამოყენებაც შეუძლია პროფესიული განათლების მასწავლებელს.

   დაწესებულების „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“-თ განსაზღვრულია შეფასების პროცესის ორგანიზების მოთხოვნები, რომელიც თანხვედრაშია საერთაშორისო სტანდარტებთან: მკაცრად განსაზღვრულია ტესტის/შეფასების ინსტრუმენტის სტრუქტურა და შედგენის წესები. თითოეული დარგობრივი მოდულისთვის განისაზღვრება კითხვათა გარკვეული რაოდენობა, კითხვის ტიპი, შესრულებისთვის დრო. თითოეული პროფესიულ/დარგობრივ თეორიული მოდულის ფინალური გამოცდის ხანგრძლივობა ინდივიდუალურია და დადგენილია ევროპის ავიაციის უსაფრთხოების სააგენტოს (EASA) მარეგულირებელი დოკუმენტაციით. დაწესებულებას დადგენილი აქვს მოდულის შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვარი - 75%. ასევე, კითხვებისა და პასუხების ფორმულირების წესები. ღია კითხვების/ესსეს ტიპის კითხვას სავალდებულო წესით უნდა ჰქონდეს სტანდარტული პასუხი (ნიმუში), რომელიც ასევე მოიცავს ნებისმიერ ცნობილ ალტერნატიულ პასუხებს, რომელიც შეიძლება შესაბამისი იყოს სხვა ქვეჯგუფისთვის. აღნიშნული მექანიზმები უზრუნველყოფენ შეფასების პროცესის ობიექტურობასა და სამართლიანობას.

   დაწესებულების რეგულაციაში, დეტალურად არის მოცემული ინფორმაცია შეფასების, განმეორებითი შეფასების, შეფასების შედეგების გაცნობის, გასაჩივრების, შეფასების პროცესის დოკუმენტირების, ასევე შეფასების ინსტრუმენტების შემუშავების, ვალიდაცია-ვერიფიკაციის პროცესების შესახებ. ასევე დეტალურადაა გაწერილი პროფესიული სტუდენტის ინფორმირების პროცედურა.

   შეფასების პროცესის განხორციელება და კონტროლი დაწესებულების მხრიდან უზრუნველყოფილია შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადამიანური რესურსით. საერთაშორისო სტანდარტებისა და დარგში არსებული რეგულაციების თანახმად, დაწესებულებას განსაზღვრული ჰყავს შესაბამისი აღიარების მქონე ინსტრუქტორები, რომლებიც უფლებამოსილები არიან განახორციელონ სტუდენტების შეფასება. შეფასებისა და საგამოცდო პროცესის ორგანიზებას და კონტროლს ახორციელებს გამოცდების მენეჯერი.

   წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და პერსონალთან გასაუბრების საფუძველზე დგინდება, რომ პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური - **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. **პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს - დაწესებულებაში დანერგილია სტუდენტთა შეფასების კონტროლის, ვალიდაცია-ვერიფიკაციის მექანიზმები** - საავიაციო სპეციალისტების განათლება ხორციელდება დადგენილი საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, რომელიც მოიცავს შეფასების სისტემასაც. დაწესებულება შეფასების ინსტრუმენტებისთვის იყენებს EASA-ს მიერ ავტორიზებულს კითხვათა ბანკს. პრაქტიკული დავალებებისთვის ე.წ. დავალების ბარათებს, რაც უზრუნველყოფს შეფასების პროცესის დარგობრივ სტანდარტებთან შესაბამისობას. შეფასების ინსტრუმენტები ამავდროულად შეფასების სისტემის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს მიერ არის დამოწმებული. გარდა შიდა ვერიფიკაციისა, შეფასების სისტემის მონიტორინგი ხორციელდება ყოველ 6 თვეში ერთხელ საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს მიერ (იხ. ქვ. 2.4.2.(4) ინდიკატორი) - **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

3. **პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით** - დაწესებულება, იმ პროგრამებისთვის, რომლებიც არ საჭიროებენ სსიპ სამოქალაქო ავიაციის სააგენტოსთან შეთანხმებას, შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების აღრიცხვასა და შენახვას უზრუნველყოფს, შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით, ხოლო პროგრამების სააგენტოსთან შეთანხმების შემთხვევაში, დარგში არსებული საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნების გათვალისწინებით, მატერიალურ მატარებელზე არსებული მტკიცებულებები ინახება 20 წელი, ხოლო ელექტრონული - მუდმივად. მტკიცებულებების შენახვისთვის დაწესებულებას მოწყობილი აქვს შესაბამისი სტანდარტების არქივი, ხოლო ელექტრონული დოკუმენტაციისთვის შესაბამისი ელ სივრცე/სერვერი - **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

4. **პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.** შეფასების სისტემა ითვალისწინებს როგორც განმსაზღვრელ, ისე განმავითარებელ შეფასებას. განმავითარებელი შეფასება ხორციელდება სისტემატურად და შესაძლოა განხორციელდეს როგორც ქულების, ასევე ჩათვლის პრინციპის გამოყენებით. შეფასების შედეგების მიწოდება ხდება ინდივიდუალურად. დაწესებულების „გამოცდების მენეჯერის“ აანალიზებს მიღებულ შედეგებს. რის საფუძველზეც სტუდენტებს ეძლევათ უკუკავშირი, რეკომენდაციები, საჭიროების შემთხვევაში უტარდებათ კონსულტაციები და დამატებითი შეხვედრების/მეცადინეობები.

დაწესებულებაში ასევე დანერგილია პროგრამის აკადემიური მოსწრების ანალიზის მექანიზმები, რაც შინაარსის სიმარტივე/სირთულის, ასევე შესასწავლი თემების, გამოყენებული სწავლება-სწავლის მეთოდებისა და შეფასების ფორმების მართებულობის განსაზღვრის შესაძლებლობას იძლევა. ანალიზის მიზანია, დროულად მოხდეს პრობლემების იდენტიფიცირება და შესაბამისი ღონისძიებების გატარება. მეთოდოლოგია შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს ავიაციაში.

აღნიშნული მეთოდოლოგიის თანახმად, დაწესებულების მიერ განისაზღვრება სამიზნე ნიშნულები, ფაქტობრივი მაჩვენებელი და გადახრის დასაშვები ზღვრები. მონაცემების შეგროვება-დამუშავება ხდება ელექტრონული სისტემის მეშვეობით, ანალიზი ხორციელდება თუ პროგრამაზე არსებული სტუდენტების საერთო რაოდენობიდან რამდენმა პროცენტმა მიაღწია პროგრამის თოთოეულ სწავლის შედეგს. ხდება მიღებული შედეგების სამიზნე ნიშნულთან შედარება. ანალიზისთვის დაწესებულება იყენებს პირდაპირ და არაპირდაპირ შეფასების მეთოდოლოგიას. პირდაპირი შეფასების მეთოდებია შეფასებების ანალიზი (წერითი/ზეპირი გამოცდა/გამოკითხვა, პრეზენტაცია, რეფერატი, პრაქტიკული დავალების შესრულება და სხვა). ხოლო არაპირდაპირი - დამსაქმებლების, კურსდამთავრებულთა და სტუდენტების გამოკითხვა, საგანმანათლებლო პროგრამის ანალიზი და სხვა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დადგენილი დიაპაზონიდან გადახრის შემთხვევაში, დღის წესრიგში დგება, სწავლის შედეგების, მათი მიღწევის მეთოდების, კრედიტების/საათების დროში განაწილების სქემის, სწავლებისა მეთოდების, თემატიკის/ლიტერატურის, შეფასების ფორმების და მეთოდების, ჯგუფში სტუდენტთა რაოდენობის, კურსის/პროგრამის წინაპირობის, სასწავლო პროცესის ორგანიზების თავისებურებებისა და სხვა სასწავლო-საორგანიზაციო აქტივობების გადახედვა და ანალიზი.

დადგენილი ზღვრებიდან გადახრის ან/და ანალიზით არასასურველი შედეგების მიღების შემთხვევაში, იგეგმება დამატებითი აქტივობები, რათა სტუდენტების მიერ მიღწეული იქნეს სტანდარტებით დადგენილი, სწავლის შედეგის ფლობის შესაბამისი დონე.
**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- დაწესებულების „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“ 18.07.2024
- „Maintenance Training Organisation Exposition“ 07.2022
- სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი (#08/10, 27.12.2019)
- ინტერვიუს შედეგები დაწესებულების ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან და პროგრამის განმახორციელებლებთან.

შეფასება:
☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია**
დანართი 1. ვიზიტის დღის წესრიგი

26/08/2024
თარიღი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: